ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის
კვლევის ეთიკის კომიტეტის საქმიანობის წესი

მუხლი1.ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე წესის მიზანია განსაზღვროს ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) კვლევის ეთიკის კომიტეტის ფორმირების, საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპები, ფუნქცია-მოვალეობები და საქმიანობის წარმართვის პროცედურები, ასევე ეთიკის კომიტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

1.2 კვლევის ეთიკის კომიტეტი საქმიანობას ახორციელებს წინამდებარე წესისა და შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტების საფუძველზე.

1.3 წინამდებარე წესი ვრცელდება, უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, (მათ შორის პროფესიული განათლებლის მასწავლებლებზე), სტუდენტებზე (მათ შორის პროფესიულ სტუდენტებზე და მსმენელებზე) და იმ პირებზე, რომლებიც სხვა სტატუსით შესაძლებელია მონაწილეობენ უნივერსიტეტის ფარგლებში ორგანიზებულ კვლევით/შემოქმედებით პროცესებში.

2. კვლევის ეთიკის კომიტეტის მიზანი და ფუნქციები:

2.1 კვლევის ეთიკის კომიტეტი არის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტის ფარგლებში წარმოებული კვლევით/შემოქმედებითი საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფას საყოველთაოდ აღიარებულ ეთიკურ და სამართლებრივ სტანდარტებთან. მისი დანიშნულებაა კვლევის პროექტების/გეგმების განხილვა კვლევის მონაწილეთა ღირსების, ფუნდამენტური უფლებების, უსაფრთხოების და კეთილდღეობის პატივისცემისა და დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

2.2 კვლევის ეთიკის კომიტეტის ფუნქცია-მოვალეებები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

2.2.1. უნივერსიტეტის ფარგლებში და უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის (მათ შორის პროფესიული განათლებლის მასწავლებლების), სტუდენტების (მათ შორის პროფესიულ სტუდენტებისა და მსმენელების) და იმ პირების, რომლებიც სხვა სტატუსით შესაძლებელია მონაწილეობენ უნივერსიტეტის ფარგლებში ორგანიზებულ კვლევით/შემოქმედებით პროცესებში, განსახორციელებელი კვლევის პროექტების/ გეგმების კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტებთან თავსებადობის შეფასება და სათანადო დასკვნის მომზადება;

2.2.2. კვლევის პროექტის/გეგმის წარდგენის განაცხადის და სხვა დოკუმენტაციის ფორმის შემუშავება და დამტკიცება;

2.2.3. მიმდინარე კვლევების ზედამხედველობა იმის დასადასტურებლად, რომ კვლევა ტარდება კვლევის პროექტის/გეგმის ფარგლებში და საერთაშორისო, მათ შორის კვლევის კეთილსინდისიერების ევროპული ქცევის კოდექსის, ჰელსინკის დეკლარაციის, კვლევის ეთიკის შესახებ სინგაპურის განცხადებისა, და ქვეყანაში აღიარებული ეთიკური სტანდარტების შესაბამისად;

2.2.4. კვლევის ეთიკის კომიტეტის საქმიანობის გაცნობა და პოპულარიზაცია, ასევე კვლევის ეთიკის სტანდარტებთან დაკავშირებით სტუდენტებში ცნობიერების ამაღლების მიზნით პერიოდულად სამუშაო შეხვედრებისა და სხვა ტიპის აქტივობების განხორციელება;

2.2.5. რეკომენდაციების მომზადება უნივერსიტეტის ფარგლებში კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების საკითხებთან თავსობადობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით;

2.2.6. ეთიკის კომიტეტის მიერ შეფასებული კვლევების მონაცემთა რეგისტრაცია და ღია მეცნიერების სტანდარტებთან თავსებადობაზე ზრუნვა;

2.2.7. კომიტეტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მომზადება და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე (შემდგომში – აკადემიური საბჭო) წარდგენა;

2.2.8. სხვა საქმიანობა, რომლის მიზანია კვლევის ეთიკის თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრება.

2.3 კვლევის ეთიკის კომიტეტი დამოუკიდებელია საკუთარი გადაწყვეტილებების მიღებაში; ის არ უნდა განიცდიდეს რაიმე ზეწოლას, ხოლო მისი რომელიმე წევრი არ უნდა განიცდიდეს ინტერესთა კონფლიქტს.

2.4 კვლევის ეთიკის კომიტეტის ყველა წევრი და ადმინისტრაციული მხარდამჭერი რგოლის წარმომადგენელი იცავს კომიტეტის წინაშე წარდგენილი ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობას. ექსპერტი, რომელიც მოწვეულია საკუთარი აზრის გამოსათქმელად შესაბამის კვლევით პროექტზე/გეგმაზე, ასევე ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა. კვლევის გეგმის განხილვის პროცესში დისკუსიის შინაარსი და შეფასების პროცესის სხვა დეტალებიც ექვემდებარება კონფიდენციალურად დაცვის პრინციპს. კონფიდენციალურია განაცხადის წარდგენის პროცედურაც, რა მიზნითაც, განაცხადში მითითებული უნდა იყოს საკონტაქტო პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კვლევის ეთიკის კომიტეტთან ურთიერთობასა და კომიტეტის კითხვებზე საპასუხოდ.

2.5 კვლევის ეთიკის კომიტეტი საჭიროებებიდან გამომდინარე ამზადებს წინამდებარე წესში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

3. კვლევის ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა

3.1 უნივერსიტეტის კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით, უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს კვლევის ეთიკის კომიტეტის შემადგენლობას.

3.2 უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტი შედგება არაუმეტეს 9 წევრისგან, რომელსაც ჰყავს თავმჯდომარე, ხოლო მდივნის ფუნქციას ასრულებს უნივერსიტეტის კვლევების დეპარტამენტის კვლევებისა და განვითარების მენეჯერი. ეს უკანაკნელი ასევე მონაწილეობს კვლევის ეთიკის კომიტეტის ყველა ადმინისტრაციულ საქმიანობაში და მხარდაჭერას უწევს კვლევის ეთიკის კომიტეტის მუშაობის პროცესს.

3.3 კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრი შეიძლება იყოს:

3.3.1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელსაც უდასტურდება მაღალი სამეცნიერო პროდუქტიულობა და უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალებში გამოქვეყნებები.

3.3.2. კვლევების დეპარტამენტის წარმომადგენლები;

3.3.3. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი/ები;

3.3.4. მოწვეული ექსპერტები, წევრი/ები, რომელიც კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისას არ სარგებლობს ხმის უფლებით.

3.4 კვლევის ეთიკის კომიტეტის შემადგენლობის 1/3-ის განახლებას ექვემდებარება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.

3.5 კვლევის ეთიკის კომიტეტის შემადგენლობის განახლება ხდება, როდესაც:

3.5.1 ეთიკის კომიტეტის რომელიმე წევრი ტოვებს კომიტეტის შემადგენლობას;

3.5.2 უნივერსიტეტის რექტორი იღებს გადაწყვეტილებას კომიტეტის რომელიმე წევრის ან წევრთა შეცვლის თაობაზე როტაციის პრინციპით.

3.6 კვლევის ეთიკის კომიტეტს, რექტორთან შუამდგომლობის საფუძველზე, შეუძლია შექმნას დროებითი კომისია (მაგ., ხარისხის/შიდა აუდიტის დროებითი კომისია), რომელსაც ევალება კომიტეტის დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულების ხარისხის კონტროლი.

3.7 კვლევის ეთიკის კომიტეტის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუკი მას ესწრება კომიტეტის საერთო შემადგენლობის 2/3. გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს კომიტეტის თავმჯდომარე. კვლევის ეთიკის კომიტეტის სხომაზე განიხილება და მტკიცდება შემდეგი გადაწყვეტილებები:

3.7.1 კომიტეტის მიერ მომზადებული დასკვნები;

3.7.2 კომიტეტის ყოველწლიური ანგარიშები;

3.7.3 კომიტეტის შემადგენლობიდან შეირჩევა და მტკიცდება დროებითი კომისიების წევრები და თავმჯდომარეები;

3.7.4 საჭიროების შემთხვევაში ხდება მოწვეული ექსპერტების ინტეგრირება კომიტეტის მიერ მოსამზადებელი დასკვნებისა და რეკომენდაციების ექსპერტიზისათვის.

3.7.5 კვლევის ეთიკის კომისიის თავმჯდომარე კომიტეტის მდივანთან კოორდინაციით:

3.7.5.1. ამზადებს, იწვევს და ხელმძღვანელობს რეგულარულ და ad hoc შეხვედრებს;

3.7.5.2. წარმოადგენს კვლევის ეთიკის კომისიას უნივერსიტეტის შესაბამისი მმართველო რგოლისა და საზოგადოების წინაშე;

3.7.5.3. შეიმუშავებს კვლევის ეთიკის კომისიის სხდომებისა და სხვა საქმიანობების გეგმას;

3.7.5.4. უზრუნველყოფს დროულ პასუხს განაცხადებზე;

3.7.5.5. ხელს აწერს კვლევის ეთიკის კომისიის ოფიციალურ დოკუმეტებს, კვლევის ეთიკის კომისიის დასკვნას განხილული კვლევის პროექტის/გეგმის ეთიკურობის შესახებ, აგრეთვე, სხვა დოკუმენტებს;

3.7.5.6. კოორდინაციას უწევს, ხელმძღვანელობს და მეთვალყურეობს კვლევის ეთიკის კომისიის საქმიანობას და სხვადასხვა აქტივობებს, სამდივნოს საქმიანობას;

3.7.5.7. მეთვალყურეობს და გეგმავს საინფორმაცია/ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს.

4. კვლევის პროექტის/გეგმის წარდგენა კვლევის ეთიკის კომიტეტის წინაშე

4.1 კვლევის ეთიკის კომიტეტისადმი საკუთარი კვლევითი პროექტის კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტებთან თავსებადობის დადგენის მიზნით მიმართვა შეუძლია ნებისმიერ მკვლევარს, რომლის სამეცნიერო კვლევაც იგეგმება უნივერსიტეტის ბაზაზე, უნივერსიტეტის თანამონაწილეობით ან უნივერსიტეტთან აფილირებულ დაწესებულებაში.

4.2 კვლევის ეთიკის კომიტეტი კვლევის პროექტის/გეგმის უშუალოდ კვლევითი პროექტის დაწყებამდე შეფასებაზეა ორიენტირებული და არ იღებს განაცხადებს მიმდინარე ან შესრულებულ კვლევის ეთიკურ სტანდართებთან თავსებადობის დასადგენად. მსგავსი განაცხადები, ასეთის არსებობის პირობებში, არ ექვემდებარება განხილვას.

4.3 განაცხადის შემოსატანად სამეცნიერო-კვლევით-შემოქმედებითი პროექტების ავტორმა/ება ჯერ უნდა მიმართოს უნივერსიტეტის კვლევების დეპარტამენტის, რათა შეფასდეს პროექტის სამეცნიერო-კვლევითი მახასიათებლები და ღირებულება და,

მხოლოდ ამის შემდეგ ხდება პროექტის გადმომისამართება კვლევის ეთიკურ კომიტეტში და შესაბამისი განაცხადის შევსება (იხ.დანართი #1).

4.4 თუ კვლევითი პროექტი, მიმდინარე ან დასრულებული კვლევა უკვე რეგისტრირებული და დადასტურებულია უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტმენტში და მკვლევარმა ან მონაწილემ, ან სპონსორმა საჭიროდ მიიჩნია ეთიკური საკითხების მოგვიანებით ან განმეორებით განხილვა ან დაზუსტება, ამ შემთხვევში შესაძლებელია ეთიკის კომიტეტში პირდაპირი მომართვა, კომიტეტში განაცხადის შეტანის შესახებ კვლევების დეპარტამენტის პარალელური ინფორმირებით.

4.5 განაცხადი კვლევის პროექტის/გეგმის ეთიკური შეფასების მოთხოვნის შესახებ და ეთიკური ექსპერტიზისათვის საჭირო ყველა სხვა საჭირო დოკუმენტები, რომელთა ნუსხა მოცემულია წინამდებარე მუხლის შემდეგ პუნქტში, გადაეცემა ეთიკის კომიტეტის მდივანს.

5 განაცხადი უნდა შეიცავდეს საკმარის ინფორმაციას საიმისოდ, რომ კვლევის ეთიკის კომიტეტმა შეძლოს კვლევის გეგმის ეთიკური შეფასება. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრები უნდა დარწმუნდნენ, რომ კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებული რისკი და ტვირთი არ აღემატება მონაწილეთათვის მისაღებ ფარგლებს, ხოლო კვლევის პროცესში მონაწილეთა მოწვევა/შერჩევა წარიმართება შემდეგი სამი პრინციპის დაცვით: მონაწილეობა ნებაყოფლობითია; მონაწილეთა მოწვევა ხდება კვლევის მთავარი კითხვისა (მიზნისა) და მეთოდების შესაბამისად; და მონაწილეთა შერჩევა ხდება დისკრიმინაციის გარეშე.

5.1 კვლევის პროექტის/გეგმის ეთიკური შეფასებისათვის კვლევის ეთიკის კომიტეტს უნდა მიეწოდოს შემდეგი დოკუმენტები:

4.6.1. განაცხადი კვლევის პროექტის/გეგმის ეთიკური შეფასების მოთხოვნის შესახებ, რომლის ფორმას შეიმუშავებს და ამტკიცებს კვლევის ეთიკის კომიტეტი;

4.6.2. კვლევის გეგმა, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

4.6.2.1. მთავარი მკვლევარის ვინაობა, მკვლევართა კვალიფიკაცია და გამოცდილება;

4.6.2.2. კვლევითი პროექტის დაფინანსების საკითხები;

4.6.2.3. კვლევის მიზანი და საჭიროების დასაბუთება, დაფუძნებული უახლეს სამეცნიერო მტკიცებულებებზე;

4.6.2.4. კვლევის მეთოდები და პროცედურები, სტატისტიკური და სხვა ანალიზური მეთოდების ჩათვლით;

4.6.2.5. კვლევის გეგმის ვრცელი რეზიუმე, რომელიც მარტივი, არაპროფესიონალებისათვის გასაგები ენით არის წარმოდგენილი;

4.6.2.6. ინფორმაცია იმის შესახებ, იყო ან ხომ არ არის კვლევის გეგმა წარდგენილი განსახილველად და დასამტკიცებლად ეთიკის სხვა კომიტეტებზე, როგორი იყო წარდგენის შედეგი და რა სახის ცვლილებები შევიდა კვლევის პროექტში/გეგმაში ამ დასკვნის მიღების შემდეგ.

4.6.2.7. კვლევაში სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთა მონაწილეობის აუცილებლობის დასაბუთება; კვლევის მონაწილედ ჩართვისა და გამორიცხვის კრიტერიუმები; შერჩევის მეთოდი, ასეთის საჭიროებისას; კვლევის ტიპი: ღია, ერთმაგი ბრმა ან ორმაგი ბრმა; კვლევის მონაწილეთა შერჩევისა და მოწვევის პროცედურები; საკონტროლო ჯგუფის გამოყენების ან არგამოყენების მიზეზები; საკონტროლო ჯგუფისთვის გამოყენებული ჩარევა;

4.6.2.8. კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკის ხასიათისა და ხარისხის აღწერა; დაგეგმილი ინტერვენციის ხასიათი, მოცულობა და ხანგრძლივობა, აგრეთვე, კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სირთულე თუ უხერხულობა; გაუთვალისწინებელ გარმოებებზე

დაკვირვების, შეფასებისა და მათზე რეაგირების ღონისძიებები, თუ ამ გარემოებებს შეიძლება მოჰყვეს მნიშვნელოვანი შედეგები კვლევაში მონაწილე პირების და/ან კვლევასთან დაკავშირებული სხვა პირების იმჟამინდელი ან მომავალი ჯანმრთელობისთვის;

4.6.2.9. კვლევაში მონაწილეთათვის შეთავაზებული ინფორმაციის აღწერილობა, მიწოდების დრო და, აგრეთვე, მეთოდები; დოკუმენტაცია და ნებისმიერი ვიზუალური თუ სხვა მასალა, რომელიც თანხმობის ან ნებართვის (როცა პირს არა აქვს თანხმობის გაცხადების უნარი) მისაღებად იქნება გამოყენებული, მათ მათ შორის: ინფორმირებული თანხმობის ფორმა; კვლევის სუბიექტისათვის და/ან მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის მისაწოდებელი ინფორმაციის ამსახველი ბროშურები, საინფორმაციო ფურცლები თუ სხვა მასალები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4.6.2.10. კვლევაში მონაწილეთა პირადი ცხოვრების დაცვისა და პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველმყოფი ღონისძიებები; როგორ მოხდება კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის გამოყენება, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს კვლევაში მონაწილე პირების და მათი ოჯახის წევრების იმჟამინდელი ან მომავალი ჯანმრთელობისა და ემოციური კეთილდღეობისთვის;

4.6.2.11. კვლევის განხორციელების თაობაზე სხვა დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის: კვლევის ჩატარებისთვის აუცილებელი საშუალებების, აღჭურვილობის აღწერა; კვლევაში მონაწილეობისთვის დაწესებული ნებისმიერი ანაზღაურების და წახალისების დეტალები; ყველა იმ გარემოების აღწერა, რომელმაც შეიძლება ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვიოს და ხელი შეუშალოს მკლევართა დამოუკიდებელ მსჯელობას, მათ შორის, კვლევის სუბიექტების ჯანმრთელობასა და ემოციურ კეთილდღეობაზე ზრუნვასთან დაკავშირებით; კვლევის შედეგების, კვლევის პროცესში მიღებული სხვა მონაცემების შესაძლო სამომავლო გამოყენებასთან, მათ შორის, კომერციული მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაცია; მკვლევართა აზრით მნიშვნელოვანი ყველა სხვა ეთიკური საკითხის აღწერა; კვლევაში მონაწილეობის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებისთვის გამიზნული ნებისმიერი დაზღვევისა თუ კომპენსაციის დეტალები.

5.2 წინამდებარე მუხლის მე-2 ქვე-პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ფორმითაც.

5.3 კვლევის ეთიკის კომიტეტს უფლებამოსილია მოითხოვოს ნებისმიერი სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც კვლევის პროექტის ეთიკური შეფასებისთვის არის აუცილებელი.

5.4 კვლევის ეთიკის კომიტეტის რეესტრში ხდება განაცხადის რეგისტრაცია შესაბამისი ნომრით და ფიქსირდება კვლევის დასახელება, განაცხადის შემოტანის თარიღი, კვლევის პროექტის ხელმძღვანელის/მთავარი მკვლევრისა და საკონტაქტო პირის პირადი მონაცემები (სახელი, გვარი, თანამდებობა) და დაწესებულების, ორგანიზაციის ან საინიციატივო ჯგუფის დასახელება (რომელიც ატარებს კვლევას). კვლევის ეთიკის კომიტეტთან ურთიერთობაში კვლევის პროექტის ხელმძღვანელი/მთავარი მკვლევრი ამავდროულად შეიძლება იყოს საკონტაქტო პირიც.

5. კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ კვლევის გეგმის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება

5.1. კვლევის ეთიკის კომიტეტის მდივანი ატარებს კლევის გეგმის განაცხადისა და თანმხლები დოკუმენტაციის პირველად შეფასებას იმის დასადგენად, თუ რამდენად სრულყოფილად არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

5.2. თუ დოკუმენტაცია სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი, მზადდება დასკვნა, რომელშიც მითითებულია იმდოკუმენტების ჩამონათვალი ან იმ დოკუმენტების ნუსხა, რომელთა წარმოდგენაც აუცილებელია, მაგრამ არ არის წარმოდგენილი. დასკვნაში მითითებული დოკუმენტაციის შევსების მიზნით განაცხადის ავტორებს ეცნობებათ საკონტაქტო პირის მეშვეობით. ხარვეზის აღმოსაფხვრელად და აუცილებელი დოკუმენტაციის წარსადგენად კვლევის პროექტის/გეგმის ავტორებს ეძევათ დამატებით 5 სამუშაო დღე. დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განაცხადი არ გადის კვლევის ეთიკის კომიტეტის სხდომაზე და არ ექვემდებარება შემდეგ განხილვას ხარვეზის გამოსწორებამდეგანიხილება.

5.3. დოკუმენტაციის სრულფასოვნად წარმოდგენილი შემთხვევაში, კომიტეტის მდივანი, კვლევის ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, შესაფასებლად უგზავნის კომიტეტის წევრებს. კომიტეტის წევრი ვალდებულია განაცხადოს თივთაცილება, კვლევის გეგმის შეფასებაზე, თუ ის რაიმე სახით ჩართულია კვლევის განხორციელებაში. ასეთ შემთხვევაში კომიტეტის ხელმძღვანელი კვლევის გეგმას გადასცემს კომიტეტის სხვა წევრს. ამასთან, მდივანი ეთიკის კომიტეტის ყველა წევრს ელექტრონული ფოსტის საშუალებით უგზავნის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტების ელექტრონულ ვერსიებს.

5.4. ეთიკის კომიტეტის შერჩეული წევრები აანალიზებს კვლევის გეგმას წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე და ემზადება მომდევნო სხდომაზე მოცემული კვლევის გეგმის განსახილველად. ამასთან, ეთიკის კომიტეტის შერჩეული წევრი, კვლევის შინაარსიდან გამომდინარე, განსაზღვრავს ექსპერტის მოწვევის საჭიროებას, მოსაწვევი ექსპერტის ვინაობას და მასთან გასარკვევ საკითხებს, რის შესახებაც აცნობებს ეთიკის კომიტეტის მდივანს.

5.5. ეთიკის კომიტეტის მდივანი ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას ექსპერტის მოწვევის საჭიროებისა და მისი შერჩევის შესახებ. მდივანი კვლევის გეგმას და სხვა საჭირო დოკუმენტაციას გადასცემს შერჩეულ ექსპერტს და მოიწვევს მას ეთიკის კომიტეტის მომდევნო სხდომაზე.

5.6. მოწვეული ექსპერტი განიხილავს მისთვის გადაცემულ დოკუმენტაციას, ამზადებს პასუხებს მისთვის დასმულ კითხვებზე და წარუდგენს თავის დასკვნებს ეთიკის კომიტეტს მის მომდევნო სხდომაზე. მოწვეული ექსპერტი ეთიკის კომიტეტის სხდომაში მუშაობას იღებს ხმის უფლების გარეშე.

5.7. კვლევის ეთიკის კომიტეტი განიხილავს კვლევის პროექტის გეგმას, აფასებს მის ეთიკურ ასპექტებს და განსაზღვრავს დასაშვებია თუ არა კვლევის ჩატარება ეთიკური თვალსაზრისით. განხილვისას ძირითადი მომხსენებლები არიან ეთიკის კომიტეტის შერჩეული წევრები, რომლებსაც წინასწარ გადაეცათ შესაფასებლად კვლევის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტების სრული პაკეტი (იხ. წინამადებარე მუხლის მე-3 პუნქტი) და მოწვეული ექსპერტი (ასეთის არსებობისას). განხილვაში მონაწილეობს საბჭოს ყველა დამსწრე წევრი.

5.8. კვლევის გეგმის ეთიკური შეფასებისას ეთიკის კომიტეტის წევრები ხელმძღვანელობენ საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური და პროფესიული სტანდარტებით. მათ შორის, ეთიკის კომიტეტის წევრებმა უნდა შეაფასონ: კვლევის საჭიროება და მასში ადამიანის (ცოცხალი სუბიექტის) მონაწილეობის აუცილებლობა; რამდენად საკმარისია მკვლევარისა და მისი გუნდის კვალიფიკაცია და გამოცდილება მოცემული კვლევის ჩასატარებლად; როგორია კვლევის რისკი და მოსალოდნელი სარგებლობა და რამდენად მისაღებია არსებული რისკის პირობებში კვლევის ჩატარება დასახული მიზნების მისაღწევად; ხომ არ შეექმნება კვლევის სუბიექტის ჯანმრთელობასა და ემოციურ კეთილდღეობას საფრთხე კვლევის პროცესში მონაწილეობის გამო; რამდენად ადეკვატურად არის დაგეგმილი

ინფორმირებული თანხმობის მიღების პროცედურა და გარანტირებულია თუ არა კვლევის ობიექტისთვის გასაგები ენით ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება; გამორიცხულია თუ არა რაიმე ზეწოლა (ფინანსური ზეწოლის ჩათვლით) კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობის მიღების მიზნით; კვლევაში მონაწილე პირების შერჩევისას გამორიცხულია თუ არა დისკრიმინაცია; რამდენად ადეკვატურია კვლევის გეგმით გათვალისწინებული გარანტიები კვლევის სუბიექტების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის შესახებ.

5.9. კვლევის ეთიკის კომიტეტი შესაბამისი საკითხის განხილვის შედეგად კვლევის პროექტზე/გეგმაზე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

5.1.1. დამტკიცდეს ცვლილების გარეშე (თანხმობა), რაც მკვლევარს/მკვლევართა ჯგუფს უფლებას აძლევს ჩაატაროს კვლევა კვლევის გეგმის ფარგლებში, მასში ყოველგვარი ცვლილებების შეტანის გარეშე.

5.1.2. დატკიცდეს დათქმით (პირობითი თანხმობა შესწორებებით), რაც მკვლევარს/მკვლევართა ჯგუფს აძლევს კვლევის დაწყების უფლებას, მხოლოდ გეგმაში კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ რეკომენდებული კონკრეტული ცვლილებების შეტანის და/ან მოთხოვნილი დამატებით ინფორმაციის წარდგენის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილ ცვლილებებს აფასებს ან კომიტეტის თავმჯდომარე ან მის მიერ დასახელებული კომიტეტის წევრი, რის საფუძველზეც კომიტეტის თავმჯდომარე გასცემს თანხმობას ან უარს კვლევის ჩატარებაზე.

5.1.3. უარი მომდევნო სხდომამდე, რაც გულისხმობს, რომ მოცემული კვლევის პროექტი/გეგმა საჭიროებს მნიშვნელოვან გადამუშავებას, რომლის შემდეგ ის შეიძლება განხილული იქნეს კომიტეტის რომელიმე მომდევნო სხდომაზე.

5.1.4. საბოლოო უარი, რაც გულისხმობს, რომ მოცემული კვლევა არ უნდა ჩატარდეს.

5.1 კვლევის ეთიკის კომიტეტის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს.

5.2 5.1. პუნქტში პუნქტში მითითებულთან ერთად დასკვნა შეიძლება შეიცავდეს მოთხოვნას:

5.3.1. კვლევის ეთიკის კომიტეტისადმი კვლევის მიმდინარე ანგარიშის ან ანგარიშების წარდგენის შესახებ;

5.3.2. კვლევის გეგმის განმეორებით შეფასების საჭიროების შესახებ, როცა კვლევის დიდი ხანგრძლივობის (რამდენიმე წელი) და/ან მაღალი რისკის ან სხვა გარემოებების გამო არსებობს სიფრთხილის საფუძველი.

5.3 კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ დასკვნა კვლევის პროექტის/გეგმის ეთიკური შეფასების შესახებ გაიცემა არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში კომიტეტისადმი კვლევის დოკუმენტაციის გადაცემის დღიდან.

5.4 განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია შეფასების ვადის გაზრდა, რისთვისაც აუცილებელია კვლევის ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარის დასაბუთებული გადაწყვეტილება.

5.5 ეთიკის კომიტეტის დასკვნა იწერება ოქმში და ეთიკის კომიტეტის რეესტრში.

5.6 კვლევის პროექტის ხელმძღვანელს/მთავარ მკვლევარს ან მის წარმომადგენელს საკონტაქტო პირის საკხით მოთხოვნისამებრ ეძლევა ამონაწერი ოქმიდან, რომელშიც მითითებულია კვლევის გეგმის განხილვის შედეგი და კვლევის ეთიკის კომიტეტის დასკვნა.

მუხლი 6. მიმდინარე კვლევებზე ზედამხედველობა.

6.1. კვლევის ეთიკის კომიტეტი:

6.1.1. განიხილავს კვლევის ეთიკის კომიტეტის მხარდაჭერით მოქმედი კვლევითი პროექტის შუალედურ და დასკვნით ანგარიშებს;

6.1.2. განმეორებით განიხილავს კვლევის გეგმას, თუ ამის შესახებ მიღებულია კომიტეტის გადაწყვეტილება მე-5 მუხლის 5.1. პუნქტის 5.1.2.-ის ქვეპუნქტში მითითებული გარემოებების შესაბამისად;

6.1.3. საჭიროებისას გამოითხოვს და განიხილოს ინფორმაცია კვლევის ეთიკის კომიტეტის მხარდაჭერით მოქმედი კვლევის მიმდინარეობის შესახებ.

6.2 კვლევის ეთიკის კომიტეტის მხარდაჭერით მოქმედი კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი/წამყვანი მკვლევარი ვალდებულია აცნობოს ეთიკის კომიტეტს:

6.2.1. კვლევის გეგმაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ, თუკი ეს დაკავშირებულია კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების საკითხებთან;

6.2.2. კვლევის პროცესში წამოჭრილი ნებისმიერი საკითხის შესახებ, რომელიც შეეხება კვლევის სუბიექტთა ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას და უფლებებს და/ან რამაც შეიძლება განაპირობოს კვლევის განმეორებითი ეთიკური შეფასების საჭიროება.

მუხლი 7. კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ მიღებული შეფასების გასაჩივრება

7.1. კვლევით/შემოქმედებითი პროექტის/გეგმის ხელმძღვანელი/წამყვანი მკლევარი, რომელიც არ ეთანხმება კვლევის ეთიკის კომიტეტის შეფასებას, უფლებამოსილია კვლევით/შემოქმედებითი პროექტის/გეგმის შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 კალენდარული დღის ვადაში არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით მიმართოს კვლევის ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარეს და გაასაჩივროს მიღებული შეფასება.

7.2. კვლევის ეთიკის კომიტეტი წერილობითი განცხადების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, შეისწავლის მას და იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

7.3. კვლევით/შემოქმედებითი პროექტის/გეგმის ხელმძღვანელი/წამყვანი მკლევარის წერილობითი განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კვლევის ეთიკის კომიტეტი განსაზღვრავს სააპელაციო კომისიის შემადგენლობას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

7.4. სააპელაციო კომისია შედგება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე არანაკლებ სამი წევრისგან. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ის პირი, რომელსაც მონაწილეობა მიღებული ჰქონდა კვლევით/შემოქმედებითი პროექტის/გეგმის შეფასების პროცესში.

7.5. სააპელაციო კომისია ვალდებულია მისი შექმნიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში შეისწავლოს და ხელახლა შეაფასოს კვლევით/შემოქმედებითი პროექტი/გეგმა.

7.6. კვლევის ეთიკის კომიტეტი უზრუნველყოფს სააპელაციო კომისიის წევრთათვის კვლევით/შემოქმედებითი პროექტის/გეგმის იმ ფორმით გადაცემას, რომ მათთვის უცნობი იყოს მიღებული შეფასება.

7.7. სააპელაციო კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ კვლევის პროექტს/გეგმას წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. სააპელაციო კომისიის შეფასება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 8. სამეცნიერო ეთიკისა და კვლევის კეთილსინდისიერების დარღვევებზე რეაგირება

8.1 კვლევით-შემოქმედებით პროცესში სამეცნიერო ეთიკისა და კვლევის კეთილსინდისიერების სტანდარტების შესაბამის გამოყენებაზე პასუხისმგებელია თითოეული მომხმარებლი.

8.2 უნივერსიტეტის მასშტაბით ორგანიზებულ კვლევით/შემოქმედებითი პროცესების ფარგლებში, ნებისმიერი ხასიათის გადაცდომა განიხილება როგორც დარღვევა და მიჩნეულია როგორც კვლევის ეთიკისა და სამეცნიერო კეთილსინდისიერების დარღვევა. ასეთ შემთხვევაზე რეაგირება ხორციელდება უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 9. უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტის შესახებ ცნობიერების ამაღლება

9.1 უნივერსიტეტი კვლევების დეპარტამენტი აკადემიური და სამეცნიერო კეთილსინდისიერების შესახებ საინფორმაციო წიგნიერების ზრდაზე მიმართული და ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული კამპანიების ფარგლებში კვლევის კეთილსინდისიერების ოფიცრების მეშვეობით პერიოდულად უზრუნველყოფს კვლევის ეთიკის კომიტეტის, მისი დანიშნულების, საქმიანობის წარმართვისა და სამუშაო პროცედურების, ასევე ამ წესების შესაძლო დარღვევაზე რეაგირების პროცედურებისა და კვლევის პროცესში სამეცნიერო ეთიკისა და კვლევის კეთილსინდისიერების სტანდარტებთან შეუთავსებლობის საკითხების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

მუხლი 10. კვლევის ეთიკის კომიტეტის დროებითი კომისია

10.1. უნივერსიტეტის რექტორთან შუამდგომლობის საფუძველზე კვლევის ეთიკის კომიტეტის დროებითი კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით განისაზღვრება ყოველი წლის ბოლოს კომიტეტის დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულების ხარისხის კონტროლის განსახორციელებლად. მისი მიზანია უზრუნველყოს კვლევის ეთიკის კომისიის პოლიტიკისა და პოცედურების შესაბამისობის განსაზღვრა მათთვის წაყენებულ მოთხოვნებთან.
10.2. კომისია ამოწმებს კვლევის ეთიკის კომისიის სტრუქტურისა და შემადგენლობის შესაბამისობას ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევების რაოდენობასა და ხასიათთან; მართვისა და პროცედურების ადეკვატურობას; კვლევის ოქმების დროულად და დადგენილი პროცედურების შესაბამისად განიხილვას; მკვლევარებთან კომუნიკაციის ადეკვატურობას და ეფექტურობას, დოკუმენტების წარმოებისა და შენახვის პრაქტიკას.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.
11.2.წინამდებარე წესი ამქომედდეს დამტკიცებისთანავე.

დანართი #1: *კვლევის ეთიკის კომიტეტში წარსადგენი განაცხადის შაბლონი* კვლევითი/შემოქმედებითი პროექტის/გეგმის ეთიკური შეფასების მოთხოვნის შესახებ

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კვლევის ეთიკის კომიტეტი
განაცხადი კვლევით-შემოქმედებითი პროექტის განხილვის შესახებ

**გთხოვთ, კვლევის ეთიკის კომიტეტზე განიხილოთ წარმოდგენილი კვლევითი/შემოქმედებითი პროექტის ----------
----
----------კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების ასპექტები და გასცეთ შესაბამისი დასკვნა.**

**კვლევის ავტორ(ებ)ი ----------

----------**

**კვლევის ხელ(ებ)ი ----------

----------**

**კვლევის დამგეგმავი ინსტიტუცია/ები: ----------

----------**

განმახორციელებლები ----------

კვლევის სპონსორი ----------

საკონტაქტო პირი ----------

განაცხადის ავტორი ---------- **თარიღი ----------**